ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი 3 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით [illegible] ცალკე ნუმერი ერთი შაური [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 119 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 119

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

შაბათს, 4 ივლისს, სომხების წ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

კნ. ქალია სიმონის ასულის აგიაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ნინო და ტარასი ნესტორის ძე და ასული ტგიაშვილები; ძმები: იაკობ და გაბრიელ სიმონის ძენი ალიბეგოვები ცოლ-შვილით და ქვრივი ვარვარა ეფრემის ასული ალიბეგოვისა ქალიშვილებით.

პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზე.

1—1—503.

შაბათს, 4 ივლისს, ქუთაისის საკათედრო სობოროში და სოფელსკულაშს ჯვარცხმის ეკლესიის საფლავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი შვიდი წლის გადაცვალებისა სტუდენტის

სისო სვიმონის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ამით აუწყებს მისს ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს უბედური დედა სისო მიქელაძისა სოფიო ნიკოლოზის ასული მიქელაძისა.

1—1—502.

მღვდელი იოანე ჩხენკელი, ძენი და ასულნი: ექიმი მიხეილი, სახელმწიფო დუმის წევრი აკაკი, ექიმი ლუკა, სტუდენტი კიტა, ნეონილა კანდელაკისა, მარიამ ჭანტურიასა; დები: ადიტო ვახნიასა, ნეონილა ჩხეიძისა, მარიამ გეგიასა და ელენე ციბაძესა; რძლები: ლუბა კონსტანტინეს ასული, მაკრინე სიმონის ასული, მარიამ ვლადიმერის ასული, ქსენია ისააკის ასული; სიძეები: დავით ჭანტურია, ნიკო რევია და შვილის შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი მეუღლისას, მეორენი ძვირფასი დედისას, მესამენი დისას, მეოთხენი დედამთილისას, მეხუთენი სიდედრისას და მეექვსენი ბებიასას

ირინე ბესარიონ გიორგაძის ასულის ჩხენკელისას,

რომლის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 5 კვირკობისთვეს, დილის 11 საათზე, მღ. სხირტლაძის სახლიდან, გაბრიელის ქუჩა № 2; დაკრძალვა ამავე დღეს დ. ხონში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. ცალკე წერილები არ დარიგდება.

1—1

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.

ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფიროლოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. სალამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ

მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 2 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

თავადაზნაურთა კერა.

მეორე სერია ოთხ ნაწილათ ეპილოგით.

ანონსი: მოკლე ხანში ნაჩვენები იქნება ზნე-დაცემული

3 ნაწილად, ჩერნოვისა და მიჩურინის მონაწილეობით.

გამოვიდა ახალი წიგნი.

პედაგოგიური კითხვების გარშემო.

(პასუხათ ჩვენ კრიტიკოსებს)

ვ. ჯაფარიძე და ი. ზედგინიძე. 5—2

დათიკო ქებაძის სავაჭროში

შაქრის იაფი ვაჭრობა.

ნიხრზე ნაკლებათ იყიდება:

თავი შაქარი ბროცკის პირველი ხარისხის გირვანქა ერთი აბაზი

1 ф. 20 коп.

ფხვნილი (პესოკი) შაქარი პირველი ხარისხის ცხრამეტი კ. 1 ф 19 к.

5—2

სამუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დაწყებს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილა.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

# ომის დღიური.

დასავლეთის ასპარეზზე მოპირდაპირე მხარეები დიდი ბრძოლის მოლოდინში და მზადებაში არიან. გერმანია იქ დიდის თავგამოდებით აპირებს შეტევას, რომ ერთხელ კიდევ სცადოს კალესკენ გაჭრა. დარწმუნებული არიან, რომ გერმანია არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება თავისი მიზნის მისაღწევათ. ამ მიზნის განსახორციელებლათ კი საჭიროა დიდძალი ჯარები. დღეს დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირეებს ორჯერ მეტი ძალა აქვთ ვიდრე გერმანიას. ისიც ვიცით, რომ ინგლისში და საფრანგეთში გაფაციცებით შეუდგენ სამხედრო სურსათის და იარაღების დამზადებას, რომ ამ მხრით არა თუ გაუსწორდენ უნდა წინ გაუსწროს გერმანიას. მაშ სად უნდა იშოვოს გერმანიამ ახალი ძალები მტრის დასამარცხებლათ? ყავს თუ არა გერმანიას შინ იმდენი რეზერვები, რომ ისინი მოიშველიოს დასავლეთის ასპარეზზე? ან შეიძლება გერმანიას სურს რუსეთის ასპარეზზე ძალების შესუსტება და აქედან ჯარის დასავლეთ ასპარეზზე გადაყვანა! იტყობინებიან, ბელგიაში ახალი კორპუსები მოვიდენო. ფიქრობენ, რომ ეს კორპუსები რუსეთიდან უნდა იყოს გადმოყვანილი. მართლაც, ეს რამდენიმე დღეა რუსეთის ასპარეზზე ავსტრო-გერმანელებმა შეტევა შეასუსტეს. გერმანია ავსტრიის ჯარი ლიუბლინ-ხოლმის ხაზს დაუახლოვდა და აქ დამარცხების შემდეგ შეჩერდა, მოქმედება შეასუსტა, თუ ეს შეჩერება მოქმედების შესუსტებას ნიშნავს, ეს იმის მომასწავებელია, რომ გერმანია-ავსტრიას უნაყოფოთ ჩაუარა იმ დიადმა ბრძოლამ და იმ აურაცხელმა მსხვერპლმა, რომელიც მათ შესწირეს გალიციის უკან დაბრუნებას. ჯერ ავსტრო-გერმანელებს ხელთ არ უპყრიათ ისეთი მაგარი ხაზი რომ იქ შეეძლოთ შეჩერება, გამაგრება და პოზიციურ ბრძოლაზე გადასვლა. ლოღიკურათ ავსტრო-გერმანელებმა თავისი წინსვლა ბუნებრივ დასკვნამდე უნდა განავითარონ: ე. ი., მიაღწიონ ვისლის ძლიერ ხაზამდე და იქ გამაგრდენ. ამისთვის ადვილი შესაძლებელია, დღევანდელი სიჩუმე სულ სხვა მიზეზებისაგან იყოს გამოწვეული. რუსეთის ჯარი დღეს უკვე შეჯგუფებული სდგას მტრის პირდაპირ. ავსტრო-გერმანელების ჯარი კი გაფანტულია ვრცელ ტერიტორიაზე. შეიძლება ამ მიზეზის გამო გამოწვეულია ჯარების გადაყვან-გადმოყვანა, შეჯგუფება, კონცენტრაცია. ლიუბლინ-ხოლმის ხაზზე უმოქმედოთ გაჩერება კი არა ბუნებრივია და ამ დღეებში შევიქნებით მოწმენი ისევ უმაგალითო სისხლის ღვრისა. მეორეს მხრით მტერი აცხოველებს თავის მოქმედებას ბობრ-ნარევის პირზე, მაგრამ ლიუბლინის ხაზიდან აქ ჯარების გადაყვანა მტრისათვის დიდ დროსაც მოითხოვს და სახიფათოც არის.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

## კავკასიის ჯარის შტაბისაგან.

**თბილისი.** 30 ივნისი. 28 ივნისის განმავლობაში ზღვის პირას მიმართულებით ღამით მზვერავებმა იერიშები მიიტანეს ოსმალთა სადარაჯოს წინაღმდეგ ფევასთან. ბევრი ოსმალო დახოცეს. დანარჩენნი კი, ტყვეთ წაიყვანეს, დანარჩენ პირზე ბრძოლა არ ყოფილა.

## სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევა.

**პეტროგრადი.** 30 ივნისი. გამოქვეყნებულია უმაღლესი უკაზი 24 ივნისიდან პირველი ხარისხის ოპოლჩენიის რატნიკების გაწვევის შესახებ ვარშავის საგუბერნატოროს გუბერნიებიდან და ხოლმის გუბერნიიდან, რომლებიც ჯერ გაწვეულნი არ იყვნენ სამხედრო სამსახურში.

**სოლუნი.** 30 ივნისი. სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ფლოტმა აღმოაჩინა და კონფისკაცია უყო ცაგეზის ახლო გროტში სტრუს შესართავთან 2000 ყუთ ბენზინს, რომელიც ამ ჟამათ მუდროსში გადატანილია. მიტილენიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა ფლოტმა, რომელსაც ჰიდროპლანები ეხმარებოდენ 25 ივნისს სმირნა—ვურლუ—აივალს და აგრეთვე ოსმალების ბანაკებს, რომლებიც ანატოლიის სანაპიროზე არის, ყუმბარები დაუშინეს. ოსმალები დიდათ დაზარალდენ. 27 ივნისს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ხელ-ახლად 20000 ინგლის-ფრანგების ჯარისკაცი გადმოსხეს, მუდროსიდან იტყობინებიან 28 ივნისს, მოკავშირეთა ჰაერთპლანმა ქალ. გალიპოლზე ფრენა დაიწყო, რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო და შესამჩნევი ზიანი მიაყენა.

## იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 30 ივნ. მთავარი ბინის ცნობა 29 ივნ. კარნიაში ჩვენი შეტევის შემდეგ 28 ივნ. დილით იმ სიმაღლეებზე, რომლებიც წარმოადგენენ ანგერის ნაკადთან სამხრეთ დასავლეთს მტერმა წინ წამოწეული პოზიციები დასტოვა და წინასწარის თხრილები გაანადგურა, რომლებიც ამ პოზიციებს ამაგრებდნენ. მონტენეროს რაიონში 28 ივნ. წინა ღამეს დიდი ჭექა-ქუხილის დროს მტერი ცდილობდა ჩვენ პოზიციებზე მოულოდნელათ იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენ იმ საათშივე მოვიგერიეთ, დანარჩენ პირზე მნიშვნელოვანი არაფერია.

## ბულგარეთის საზღვარზე.

**სოლუნი.** 30 ივნ. დედეაგაჩიდან იტყობინებიან: აქ რამდენიმე ათასი სომეხი ჩამოვიდა, რომლებიც ოსმალეთის მთავრობამ როდოსტოდან, ადრიანოპოლიდან და კირკილისიდან გააძევა. სტამბოლიდან იტყობინებიან: ბულგარების მხრივ თავდასხმის თავიდან ასაცდენათ მცირე აზიიდან ოსმალებს 85000 ქვეითა ჯარის კაცი ფრაკიაში გადაჰყავთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინჟინრო ბრიგადის ნახევარს გერმანელები შეადგენენ, ენოს-მიდიის ხაზით სიმაგრეებს აშენებენ.

**ორი ბარჟის აფეთქება.**

**ბუქარესტი.** 30 ივნ. გუშინ ღამით შავ წყალთან დუნაიზე ნავთსადგურში ორი ბარჟი აფეთქდა. 20 ცისტერნი ბენზინით და 52 ცისტერნი ნავთით, რომელიც სერბიისთვის მიჰქონდათ.

**ჩ ე რ ნ ო გ ო რ ი ა.**

**ცეტინიე.** 26 ივნ. (დაგვიანებული). 24 ივნ. მტერმა ხელახლათ მოიტანა იერიში გრახოვზე, მაგრამ ამათ ჩერნოგორელებმა გაცკოს ახლო მტრის დარაჯები გაფანტეს. 50 კაცისგან 16 კაცი დაატყვევეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დროს აღმოსავლეთ პრუსია 400 ათასმა მცხოვრებმა დასტოვა, რადგანაც ამ მხარეში ძლიერ გაჭირვებას განიცდიანო.

—

ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ ახლახან კელნში მოვიდა 15 მატარებელი დაჭრილებით. გერმანელების ზარალი პერემიშლთან 150 ათას კაცს აღემატება.

—

ჰოლანდიის გაზეთების ცნობით, გერმანიის მთავრობამ ბელგიაში თივას კონფისკაცია უყო.

—

ბერლინიდან მოსული ცნობით, ბავარიის სამხედრო მინისტრმა აკრძალა რაიმე ცნობების გამოქვეყნება გერმანიის ჯარისა და ფლოტის ზარალის შესახებ. დამნაშავენი ციხეში დატუსაღებით დაისჯებიანო.

—

ანტივარიდან მოსული ცნობა ავსტრიის ფლოტის იალქნიან გემებზე მეზღვაურთა აჯანყების შესახებ რომში დაამოწმეს. უმთავრესად აჯანყება მოუხდენიათ იმ მეზღვაურებს, რომელნიც ჩამომავლობით იტალიელები არიან. აჯანყებულებიდან ბევრი დაუტუსაღებიათ და დაუხვრეტიათ.

**ინგლისი და შვეცია.**

„გამბურგ. ფრემდენბლ"-ი იტყობინება, რომ შვეციაში თანდათან იზრდება უკმაყოფილება ინგლისის წინააღმდეგ. ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა შვედელებზე ინგლისის მთავრობის აკრძალვამ მიეცათ ინგლისის ნავთსადგურში შვეციის სამხედრო ორთქლმავლისათვის ქვანახშირი. ინგლისის მთავრობამ 900 ტონის მაგიერ, მხოლოდ 100 ტონის ნება მისცა, რის გამო ორთქლმავალმა ძლივს გაჭირვებით მიაღწია ქრისტიანიამდი. გამბურგის გაზეთი სასტიკად კიცხავს ინგლისის მთავრობის საქციელს და ამტკიცებს რომ ასეთი მოქმედება ინგლისის მთავრობისა გამოიწვევს მიმოსვლის შეწყვეტას ინგლისსა და შვეციის ნავსადგურებს შორისო.

**სამხედრო ტყვეების შესახებ.**

როგორც „რეჩს" აცნობინებენ, იტალიასა და რუმინიის შორის შეთანხმება მოხდა და რუმინია დასთანხმდა გაატაროს თავის ტერიტორიაზე ის სამხედრო ტყვეები, რომელნიც შთამომავლობით იტალიელები არიან და რომელნიც განთავისუფლებული არიან რუსეთისგან. ჯერჯერობით ბულგარეთთან და საბერძნეთთან შეთანხმება არ მომხდარა, მიუხედავათ ყოველგვარი ზომების მიღებისა იტალიის მხრით.

**საბერძნეთი.**

ათინიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში შესდგება სამეფო საბჭო, რომელზედაც მიწვეულია ვენიზელოსიც.

**რუმინია.**

ბუქარესტიდან ცნობაა, მიუხედავათ მთავრობის რწმუნებისა, რუმინიის საზღვრებიდან კვლავ იდევნებიან ებრაელები. რუმინელ ებრაელების კავშირმა პროტესტით მიმართა მთავრობას და მოითხოვს დაუყონებლივ ბოლო მოეღოს ებრაელების გადასახლებას.

**ბუქარესტი.** ოფიც. გაზ. „ვქიტორულ" უარყოფს, „ადევერულ"-ის მტკიცებას, ვითომც რუმინიის მთავრობასთან ძმობა განეცხადებინოს ავსტრიასა და გერმანიაში პურისა და ბენზინის გატანაზე იმ პირობით, რომ სამაგიეროთ იქიდან შემოიტანონ შაქარი და ნახშირი, რომელიც რუმინიას ძლიერ ესაჭიროება.

## სამთა შეთანხმება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მოსკოვში დაარსდა ეგრეთ წოდებული „რუსეთ-ინგლისის" საზოგადოება, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ინგლისის საზოგადოების მკაფიოთ გაცნობა და მასთან დაახლოვება. არც ისე დიდი ხანია, რაც რუსეთ-ინგლისის შორის კარგი განწყობილება ჩამოვარდა, ასე რომ ამ ორი სახელმწიფოს ქვეშევრდომთ არა აქვთ ნათლად წარმოდგენილი ერთიმეორეს სულის კვეთება და ზემოხსენებულ საზოგადოების დაარსება-შედეგია თვით დღევანდელ საჭიროებისა. მომავალი გვიჩვენებს თუ რამდენათ პირნათლად შეასრულებს თავის დანიშნულებას ახლად დაარსებული საზოგადოება, ჩემი წერილის მიზანი კი სხვაა. მე მსურს შეძლებისდაგვარად განვიხილო ის ფაზისები, რომელნიც წინ უსწრებდენ სამთა სახელმწიფოს შეთანხმებას. დღეს, როდესაც სამთა შეთანხმება ერთსულოვნად გამოვიდა გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ინტერეს მოკლებული არ უნდა იქნეს ამ გარემოების ისტორიულად განხილვა.

პირველად ინგლისი დაუახლოვდა საფრანგეთს—ოფიციალურ მოკავშირეს რუსეთისას, ხოლო შემდეგ შედგა სამთა შეთანხმება.

ინგლისის და საფრანგეთის განწყობილება 1904 წლამდე მეტათ ცუდი იყო. ძალიან ხშირად ეს ორი სახელმწიფო თავის ძალების მობილიზაციას ახდენდა ერთმანეთთან საბრძოლველად, მაგრამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო ურთიერთ განწყობილებამ 1898—1900 წ.წ. მიზეზი ამისა ეგრეთ წოდებული „ფაშოდის" საკითხი იყო, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: საფრანგეთის მთავრობამ წერილობითი ბრძანება გაუგზავნა თავის ქვეშევრდომს—პოლკოვნიკს მარშანს აღმოსავლეთით ექსპედიცია მოეხდინა და იქ მდებარე მიდამოები დაეზვერა. მარშანმა მდინარე ნილს მიაღწია და მის ნაპირზე მდებარე მიდამო ფაშოდი დაიკავა, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის მთავრობამ 1897 წ. ოფიციალურად განუცხადა საფრანგეთს, რომ ის წინ აღუდგება იმათ, ვინც მოიწადინებს მდინარე ნილოსის მიდამოების ერთ ნაჭერის დაკავებასაც კი. 9 ეკენისთვეს 1898 წელს ინგლისის პირველმა მინისტრმა ლორდ სოლსბერმა ფაშოდის დაკავების გამო საფრანგეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა. პროტესტი მეტად მკაცრი ენით იყო დაწერილი და მოითხოვდა ფაშოდის დაუყონებლივ დაცლას ფრანგების ჯარებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გარემოებას, შესაძლებელია, არა სანატრელი შედეგები მოჰყვესო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელკასემ უარი განუცხადა მარშანის ფაშოდის მიდამოებიდან გამოყვანაზე იმ მოსაზრებით, რომ ეს მიდამო ინგლისელებს ფაქტიურად არ დაუპყრიათ. რა თქმა უნდა საფრანგეთის ამგვარმა პასუხმა დღითი-დღე გაამწვავა მათ შორის მეზობლური დამოკიდებულება. ევროპაში საფრანგეთ-ინგლისის ომსაც კი მოელოდენ.

12 ოკტომბერს იმავე 1898 წელს ლორდ სოლსბერს და საფრანგეთის ელჩს ლონდონში—კურსელის მოლაპარაკება ჰქონდათ, რომელმაც კაცალებით მეტად გაამწვავა საქმის მდგომარეობა. პირველად კურსელი ვითომ დათანხმდა კიდეც ინგლისელების წინადადებაზე და მარშანი ფაშოდიდან უნდა გამოეხმოთ, მხოლოდ ინგლისი ვალდებული იყო მარშანის ჯარი სამხედრო სურსათით დაემაყოფილებია, საფრანგეთი კი აძლევდა პირობას, რომ მარშანის ჯარი ინგლისელების ქვეშევრდომების წინააღმდეგ იარაღს არ იხმარდა, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ კი აფრიკის ხალხი შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ გაუწევდა მარშანს. მოლაპარაკება თავდებოდა, როდესაც საფრანგეთის ელჩმა კილო ლაპარაკისა შეცვალა და განაცხადა, რომ საფრანგეთი მოითხოვს მდინარე ნილოსისაკენ გასვლას. ლორდ სოლსბერმა მოლაპარაკება შესწყვიტა და განაცხადა, რომ მის მთავრობისგან ამის შესახებ პასუხს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის მთავრობა წერილობით მოითხოვს იმას, რაც კურსელმა სიტყვიერად განაცხადა. საფრანგეთის მთავრობამ წერილობითი პასუხი მისცა, რომლით განუცხადა ინგლისს, რომ ჯერ-ჯერობით მას არ მიუღია დაწვრილებითი ცნობა მარშანიდან და პასუხს მხოლოდ მაშინ მისცემს, როდესაც ამ ცნობებს მიიღებს. მარშანს კი ნაბძანები ჰქონდა ფაშოდში დარჩენა. მაშინ [illegible] გიკს-კიჩმა 18 ოქტ. პარლამენტში დიდი სიტყვა [illegible] პირდაპირ ემუქრებოდა საფრანგეთს ომით და კატეგორიულად აცხადებდა, რომ ამ შემთხვევაში ინგლისი ოდნავ კომპრომისზედაც არ დათანხმდება „აფრიკა, ამბობდა ის, ორთავე სახელმწიფოს ეყოფა, მხოლოდ ეგვიპტე ინგლისელების კუთვნილებაა და მას ხელის შემხებელს ყოველივე საშუალებით წინააღმდეგობას გაუწევს. საფრანგეთთან ომი—დიდი ბოროტებაა, მაგრამ მისგან ეგვიპტეს რომელიმე ტერიტორიის დაკავება-ზედმეტი ბოროტებაა"— დაასრულა თავისი სიტყვა კანცლერმა. გიკ-პიჩის სიტყვამ პარლამენტში ოვაციები გამოიწვია. კანცლერის სიტყვამ და ოვაციებმა საფრანგეთის ფლოტის მობილიზაცია გამოიწვია. ინგლისმა იგივე ზომები მიიღო. ევროპა ომის მოლოდინში იყო. რამოდენიმე დღეს ომის მზადებაში ჩაიარა, რამაც არა ერთი ბირჟის კრიზისი გამოიწვია, მაგრამ და ბოლოს საფრანგეთის მთავრობამ მიიღო ინგლისის წინადადება და მარშანის ფაშოდიდან გამოყვანაზე დათანხმდა.

(შემდეგი იქნება).

## ტერიტორია.

„ხალხო ფურცელმა" დიდი ხნის მარტოხელობის შემდეგ კომპანიონი იშოვა. ეს კომპანიონი გახლავთ ის კომისია, რომელიც ამ ჟამად პოლონეთის მომავალ თვითმართველობის გეგმას იმუშავებს. კომისიამ დაადგინა, რომ პოლონეთის ტერიტორიულ საკითხს საფუძვლათ რეალურ მოსახლეობის პრინციპი უნდა დაედოს და რადგანაც „სახალხო ფურცელი" დიდი ხანია რეალურ მოსახლეობის პრინციპს ეტრფის და აქამდის მისი დასაბუთება კი ვერ შესძლო—ამ უკანასკნელ დადგენილებით თავის „მსოფლ-მხედველობას" ვითომდა უფრო ამტკიცებს.— ამრიგადო, ამბობს იგი, თითპირი ერთად-ერთ შესაძლებელ გზას დაადგაო. არაშესაძლებელ გზად რო-

## ერთი დღე სოფლად.

(განცდა).

(შემდეგი. იხ. „სამშობლო" № 118).

რიონის სადგურზე მატარებელი ათი თუ თორმეტ წუთს ჩერდება, მაგრამ ეს დროც საკმარისია, რომ მგზავრები კარგად დაათვალიეროთ და თუ ცოტა გამოცდილიცა ხართ, გაიგოთ ზოგიერთების სულისკვეთებაც კი.

აგერ დგას რკინის გზის მოხელე. მაღალი, ჩასუქებული. მხრებზე „ეპოლეტები" დაუწყვია (ხალი ფორმაა ამ ცეცხლის წვიმების დროს მოგონილი... ნეტა ვის ეცალა ამ გამოგონებისათვის?) დინჯი შემოუდგამს და ისე იყურება, გეგონებათ აქ ეს არის და იქ კი გზათა მინისტრიო!..

ზარას ქვეშ ატუზულა ტანმორჩილი, ჩოფურა მეისრე. ქუდი კეფაზე მოუგდია, „კაკარდა" გვერდზე მოჰქცევია და ისე საცოდავათ ახამხამებს თვალებს, თითქოს გეუბნებათ:

— ნუ მიყურებთ, თორემ რაიმე უბედურება რომ მოხდეს, მე დამაბრალებენო.

ბაქანზევე დაფრატიალებენ ფერუმარულ მოცხებული „სადგურის დამები"—თუ შეიძლება ასე ითქვას—იწმანწებიან, იგრიხებიან, თვალებს ეშმაკურათ ატრიალებენ, უცემურათ იღიმებიან, ჰკრაობენ, არშიყობენ.

მათ დრო გამოშვებით დამტვრეულის რუსულით სიტყვას ესვრიან სადგურის ტელეგრაფისტები, რომელთაც განგებ დაუპრიალებიათ ტუჟურკის ოქროს ღილები და ისე იჭიმებიან, გეგონებათ წელში უნდა გადატყდენო...

იქვე შორი-ახლოს სდგას იმერელი გლეხი (უფრო კი აზნაურობის მაძიებელი უნდა იყოს,) ორივე ხელის ცერები ქამარში ჩაუწყვია და პირდაღებული მიჩერებია ორთქლმავალს. ტანზე აცვია რუხი ჩოხა, ფეხებზე—ჩუსტები, თეთრი ქუჩქიანი „პირკალის" შარვალი ჩაჩაჩვია, თავზე ხურავს საზაფხულო „ზრასტი-პრონჩაი" ან მღვდლური, ჩალის ქუდი...

სასაცილო და თან საბრალო სანახავია ეს გლეხი. სიღარიბისაგან გათელილი, ცხოვრებისაგან შეწუხებული, ჭაღარა, ან ყომრალ თმა წვერ ულვაშიანი, რომელთაც წყალი ალბათ, არასოდეს არ მიჰკარებიათ,—რაღაც საზღაპრო სულიერს მოგაგონებთ ღძალა-უნებურათ გაივლებთ გულში.

— ნეტა თუ ფიქრობს რამეზე, ან ლაპარაკი თუ იცისო!..

ფიქრობს, როგორ არ ფიქრობს!. ქვეყნის უკუღმართობა და კაცთა ბოროტება იმასაც გულის ფიცარზე უწერია!..

აგერ მოდის ინდოურისავით გაფხორილი მცველი წესიერებისა—ჟანდარმი, ღეზებს მოაწკარუნებს, ხმალს მოიქნევს და თვალებით გეუბნება:

— ჩამოდექით, მათი ძლიერება მობრძანდებაო.

და ყველა ინსტიქტიურათ გზას უთმობს... გრძნობს მის უფლებამოსილებას...

ბაქანის ბოლოს, მესამე კლასის პირდაპირ, გაჩერებულა ორი შუახნის ქალ-ვაჟი. ერთმანეთს უღვერიან და რაღაცას ებუზღუნებიან.

ეტყობათ, რომ ცოლ-ქმარნი უნდა იყვნენ, თორემ უცხონი ერთმანეთს თვალებით გაუცინებდენ.

ბაქანზე დინჯათ დაკორავს ვიღაც ჩინოსანი, ტანდაბალი, ჩასუქებული კაკალივით დაკრულვილი. დიდის აუჩქარებლივ, პაპიროსს აბოლებს. ვერავის ვერ ამჩნევს, ცხვირს იწევს. ეტყობა არ მოსწონს არც აქაური ხალხი, არც ბუნება, არც რკინის გზის წესები... ამრეზილია, გაფხორილი.

ვაგონის ფანჯარა-აივნებზედაც გადმომდგარა ათასი სახისა, ჯურისა და მოდგმის კაცი, თუ ქალი... მსხვილი, წვრილი, მაღალი დაბალი, სუფთა და უსუფთაო, ლამაზი და მახინჯი!

უყურებთ ყველა ამას და ვიდრე თქვენ თავს ეკითხებოდეთ:

— ვინ არიან, სად მიდიან, აქვთ რაიმე საერთო, საამხანაგო, საძმო ამ ათასი მილეთისა და ჯურის ხალხსაო, გაისმის ზარის ხმა, ხალხი დამფრთხალი თხებივით ერთმანეთს ეზიდება, ერთი მეორეს ეცილება ვაგონში შესვლას და, ვიდრე დაზელილ გვერდზე ხელს მოისვამდე, მატარებელი წივილ-კივილით გარბის და მიაქროლებს იმერეთის ველმინდვრებზე...

დიდებული და თვალწარმტაცია ეს ველ მინდორი! გეგონებათ შემოქმედს განგებ მოუხაზავს, განგებ დაუხატია ეს აღმაფრთოვანებული სურათი და განგებ ჩაუგავს მთათა ჩარჩოში, რომ ამცნოს ყოველ დღიურ ცხოვრებით გაბოროტებულთ, რომ გარდა „ლუკმა პურისა" და ცხოველურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, არსებობს რაღაც მიუწდომელი, მშვენიერი, უძლესი და უპირატესი მოთხოვნილება სულის სისპეტაკისა, მოთხოვნილება გრძნობათა გაფაქიზებისა, მოთხოვნილება თავისუფლებისა, აღმაფრენისა, ტკბილის ოცნებისა!..

მიჰქრის მატარებელი. სურათს სურათითა სცვლის, სადგურ.—სადგურით, ხალხს—ხალხით, მაგრამ საერთო კეკლუცობა, საერთო მიმზიდველობა ბუნებისა მაინც არ იცვლება და, რაც უფრო უახლოვდება შენი მოგზაურობის მიზანს, მით უფრო და უფრო იმსჭვალები ჩვენი სამშობლოის ბუნების ზესურათხატობით.

— ხარს ვგევარ ნაილალარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!—
დღე და ღამ ამას ვდუდუნებ!—

ლოღ ნებთ პოეტის სიტყვებს და თვალზე სიამოვნების ცრემლი გადგებათ.

— სამშობლო. . სამშობლო!.. რა არის სამშობლო?

— „სამშობლო ჩემი გულია!"

გაგონდება სიტყვები მეორე ქართველი მწერლისა და იფლობი ფიქრთა და წარმოდგენათა მორევში, გაგონდება ნახულ ნაგრძნობი, ნაკამათევ-ნაბრძოლი, ითვალისწინებ შენს ავსა და კარგს, შენ ნაკლსა და ღირსებას, გაგონდებიან სხვებიც: შინაური, თუ გარეული, მეზობელი თუ მოყვასი;

გაგონდება აწმყო თუ წარსული შენის ქვეყნისა, გაგონდება პრობლემაც თანამედროვე ცხოვრებისა, აღზრდისა, განათლებისა, და გრძნობ სიმართლევს სულისას, ობლობას გულისას, გრძნობ, რომ განგებას შეუქმნიხარ მხოლოდ სატანჯველად, მხოლოდ ფიქრთა მორევათ... სუსტი, უმწეო, ხელ-ჰოკლე და ძალ მიკლე, ისე ჩაკვდები, რომ ერთხელაც არ გეღირსოს ადამიანური ცხოვრება...

— რათა რისთვის? ეს ჰკითხეთ დღევანდელი დღის სიცხადეს, ჰკითხეთ პრობლემებს ჩვენის ყოფნისას, ჰკითხეთ ჩვენ შავბნელ ისტორიას, ჰკითხეთ ძალ—მომრეობას, ჰკითხეთ თვით თქვენ თავს... მშობლიურ ნიადაგს რომ მოწყვეტილხართ და ადამიანი—თავისუფლებისა და ოცნება-ნეტარებისათვის შექმნილი ადამიანი—დამორჩილებულხარ წვრილმანობას, დამორჩილებიხარ ბოროტ გულის თქმას, მისცემიხარ თავ-დავიწყებას და შენისავე ხელით ჰქმნი იმ მარწუხებს, რომელთაც შენსავე ხორცს იგლეჯავ!..

მახსოვს, როდესაც ილიას ასაფლავებდენ, ერთი ჩვენი ცნობილი მწერალი განმარტოებით გადმომდგარიყო მთა წმინდის ერთ-ერთ ქედზე და მოღუშული, წარბ-შეკრული გადაჰყურებდა თფილისს.

— იცით რად გადმომდგარა ჩვენი მგოსანი ამ ქედზე?—იკითხა ვიღაცამ და ნაღვლიანათ დაუმატა —

— უნდა შეაფურთხოს მთელს ქვეყანას ვერაგობისათვისაო...

იქნება მართლაც იმ გუნებაზე იყო იმ დროს პოეტი, მაგრამ როცა იმერეთის ბუნების სიდიადით დამტკბარი მატარებლის ფანჯრიდან გავყურებდი აჭარის მთა-გრეხილს, მომენატრა:

— ნეტა იმ ქედზე დამსვა და დამაყვირა: ხალხნო და ჯამაათნო, ამერნო და იმერნო! **იცანით თქვენი თავი! ძალა შეგნებასა და ერთობაშია—მეთქი!!.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელოდა უნდა ჩაითვალოს? ისტორიული და აი ამ ისტორიულ პრინციპის წინააღმდეგია „სახალხო ფურცელიც“. ჩვენ ქვევით ვეცდებით აგვეხსნათ, რომ გაზეთს სრულებით არ ესმის, რა არის ისტორიული პრინციპი ტერიტორიალურ საკითხის გადაწყვეტაში.

მანამდე შემდეგს ვიტყვით: თათბირი, რომელიც პოლონეთის ტერიტორიის საკითხში რეალურ მოსახლეობის პრინციპს დაადგა, ნახევრად ბიუროკრატიული იყო. თათბირში პოლონელებიც იღებენ მონაწილეობას, მაგრამ იქ მთავრობის წარმომადგენელნიც არიან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა, ვიდრე ამ კომისიის დადგენილებით განამტკიცებდეს „სახალხო ფურცელი“ თავის ეროვნულ მსოფლმხედველობას, ქართული ანდაზა მოიგონოს: „მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემ მაზლს არაფერი ვარგუნეთო“. შემდეგ, ჩვენ სრულებით არ ვიცით კომისიის რომელი პოლონელები იყვნენ ამ პრინციპის მომხრე და რა სთქვეს მათ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ. ნუ თუ ასეთი საკითხი უკამათოდ და უდავიდარაბოთ გადაწყდა კომისიაში? თუ არ დაგვავიწყდება ის, რასაც სწერდენ და ამბობდენ აქამდის პოლონელები ტერიტორიალურ საკითხის შესახებ — უნდა ვიფიქროთ, რომ თათბირზე ამ საკითხის თაობაზე ცხარე კამათი იქნებოდა.

შემდეგ: ჩვენ სრულებით არ ვიცით ჯერ-ჯერობით, რას უძახის თათბირი რეალურ და ისტორიულ პრინციპს. იქნება თათბირის რეალური პრინციპი ამ შემთხვევაში ისტორიულს ჰფარავს და ისტორიული რეალურს. მთავარი კი ის არის, რაც „სახალხო ფურცელს“ სრულებით არ მიუღია მხედველობაში. ამ კომისიაში პოლონელები მიიწვიეს და უთხრეს: ჩვენ თქვენ თვითმართველობას გაძლევთ. მაგრამ ჩვენ გაძლევთ მარტო აი, **ასეთ** თვითმართველობას! ჰქონდათ უფლება პოლონელთა წარმომადგენლებს არ მიეღოთ იგი? მათ მიიღეს ის, რაც მათ მიაწოდეს და სახლში დაბრუნდნენ. მაგრამ მეტად კმაყოფილნი დაბრუნდნენ თუ ნაკლებ კმაყოფილნი, ეს ჩვენ არ ვიცით. განა ყველა ამის შემდეგ პოლიტიკური მეტიჩრობა არ არის ქართულ გაზეთის მხრივ, როცა ამის გამო სიხარულს ეძლევა და ქვეყანას აუწყებ: საკითხი სწორედ ისე გადაწყდა, როგორც საჭირო იყოვო.

გადავდივართ რა იმაზე, თუ როგორ ესმის „სახალხო ფურცელს“ ისტორიული პრინციპი ტერიტორიალურ საკითხის გადაწყვეტაში, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რა მეთოდებს ხმარობს იგი საზოგადოთ, როცა ამ საკითხს სწყვეტს. უკანასკნელ დროს იგი ხშირად სწერს, ხან რეალურ მოსახლეობის პრინციპზე, ხან ისტორიულ პრინციპის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ტერიტორიალურ საკითხის გადაწყვეტაში არც ერთი, და არც მეორე არავითარ გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. რეალურ მოსახლეობის პრინციპს არა აქვს ამ საკითხის გადაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა, რადგანაც იგი თავისთავად უფრო ტრუიზმს შეეხება, ვიდრე საკამათო რამეს. თუ ერთ კვადრატულ ვერსზე მხოლოდ პოლონელები სცხოვრობენ, ცხადია არავინ არ დაგიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ეს კვადრატული ვერსი პოლონური ტერიტორია არ არის. ეს გახლავთ რეალურ მოსახლეობის პრინციპი და როგორც ხედავთ დიდს არაფერს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, თუ ოდესმე პოლონელთა მეომრები ყირიმამდის მიდიოდნენ და დნეპრს გადმოდიოდენ, არც ერთი თანამედროვე პოლონელი პოლიტიკური მოღვაწე ამას ისტორიულ საბუთის ხასიათს არ მისცემს და „სახალხო ფურცელი“ს ისტორიული შეხედულება ტერიტორიაზედ სწორედ ეს არის. როგორც ხედავთ, არც ერთს ამას მნიშვნელობა არა აქვს ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტაში.

სახელმწიფოს და ახალი საზღვრების დამაარსებელნი მუდამ სხვა რამით ხელმძღვანელობენ და ეს სხვა რამ ჩვენ შეგვიძლიან ეროვნულ ეკონომიურ პრინციპათ მოვნათლოთ. საზღვრების შემოფარგლაში მნიშვნელობა მარტო ეტნოგრაფიას და ენას კი არა აქვს, გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიას, — ტოპოგრაფია ქვეყნისა, მდინარეთა გზები, წყალ-გამყოფელი ხაზები და ეკონომიურ მიმზიდველობის ცენტრები — აი მთავარი პრინციპები, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს ამა თუ იმ სამზღვრების გამომუშავება. როდესაც ჩვენშიც დადგება ეს საკითხი, დარწმუნებულნი ვართ, ბევრს ვილაპარაკებთ ახალქალაქის მაზრაზედ. იმ მაზრაზედ, რომელიც, რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით, ჩვენი აღარ უნდა იყოს. მაგრამ განა ეს მართალია? რასიული შემოსევა მუდამ ყოფილა, მაგრამ მას არასოდეს არ შეუცვლია ტოპოგრაფიული ბუნება ამა თუ იმ კუთხისა, პირიქით ტოპოგრაფიული პირობები, პირველი მიზეზები იყვნენ ხოლმე ასსიმილიაციისა და ამხრივ ზარალში მუდამ შემოსეულები იყვნენ, როგორც მცირენი რიცხვით. რასიული განსხვავება ხშირად ერთ ადამიანშიც იყრის ხოლმე თავს. ხშირად არის, რომ თეთრ კანიანს თეთრ ტანთან შავი თავი აქვს. ეს არის აშკარა მაჩვენებელი ოდესღაც ყოფილ სისხლის შერევისა. მაგრამ განა შესაძლებელია თეთრ კანიანს ეს შავი თავი მოსჭრა და ნეგრს მიაწებოთ? გამოვა ცხადი წინააღმდეგობა ბუნებისა — ის რომ ერთს ორი თავი ექნება, მეორეს არც ერთი. აქედან ის გამომდინარეობს, რომ პრინციპი რეალურ მოსახლეობისა, რომელიც იმავ დროს რასიული პრინციპიც არის, სრულებით ვერ სწყვეტს საკითხს. მის ნაცვლად მუდამ სახეში უნდა გვქონდეს ეროვნულ-ეკონომიური პრინციპი ტერიტორიისა, რომელიც ერთად ერთი აძლევს ნამდვილ სიმტკიცეს პოლიტიკურ ორგანიზმს.

**შ. ამირეჯიბი.**

---

მომენატრა, რომ ეს ჩემი ხმა მის წლობოდა ოქროს ბზინვით თავ-პირუ დასხმულთა სრა-სასახლეებს, ცხოვრების ჰპან-წყვეტით გალეებულ გლახაკთა ქოხებს, დოგმა-ფანატიკოსობით გულ გაყინულებს, მეტიჩრობით გაყვიჩინებულთ, მრუდეთ აღზრდილ-გაწრთვნილებს, ჩინ-მენდლებით დარეტიანებულებს, ძალ-მომრეობით გამხეცებულთ, შრომა, ჯაფით წელში გამწყდარებს, გადაგვარების გზაზე დამდგარებს და ძალუმადურათ ცხოვრების მატარებელთ!

მინდოდა, მსურდა — იმ ჟამად — ვქცეულიყავ „ნზე ქებუკათ“ ან რომელიმე საზღაპრო არსებათ და მტლედ დავდგომოდი ჩვენი ქვეყნის აღორძინების და გამოფხიზლების საქმეს.

— უჰ — უჰ — უჰუ! მე — ოცნებე... მეოცნებე! მიგუგუნებდა მატარებელი, მას კოწიაწით მოსდევდა ველ-მიდორი, ხე-ყვავილ-ბალახები. მხოლოდ მთანი, — მთანი აზარისანი — იდგენ უძრავად და ღრმა ფიქრებში წასულნი, ღრუბლის რიდე მოსილნი, თითქოს გულის ფიცარზე იწერდენ ჩემ ოცნებას საშვილიშვილო გადასაცემათ...

— „სტანცია კვირილი“ — დამჩხავლა ამ დროს უძილობისაგან გაბოროტებულმა კონდუქტორმა, წამავლო მკლავშიხელი, ვაგონის კარებიდან აქეთ გადმომისროლა, დადგა კიბეზე და კვლავ დაიბუბუნა:

— „სტანცია კვირილი“ — პოეზდ სტაიტ დვენაცატ მინუტ!..

— ოხ, რა ძნელი და ოცნების მომშხამველია შეუგნებელ ადამიანთან ყოფნა... თორმეტი წუთითაც კი! **ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება).

---

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ გუშინ დილის მატარებლით თბილისიდან დაბრუნდა ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, რომელიც გაწვეული იყო კავკასიის სამხედრო — სამრეწველო კომიტეტის 28 ივნისის კრებაზე დასასწრებლათ.

✦ პეტროგრადიდან ქუთაისში ჩამოვიდა და აზოვ-დონის ბანკს რევიზია გაუკეთა, ხსენებულ ბანკის მთავარი გამგეობის უფროსმა ბ-მა მიტრენკომ. რევიზიის დროს აღმოაჩინა, რომ ბანკის ყოველივე საქმეები წესრიგზე არის დაყენებული. ბ-ნი დიმიტრენკო ქუთაისიდან განჯაში გაემგზავრა 2 ივლისს.

✦ ორშაბათს, 29 ივნისს, პეტრე-პავლეს დღეს იმერეთის ეფისკოპოზი გიორგი მწირველი იყო ქუთ. საკათედრო ტაძარში. წირვის გათავების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ივლიანე აბესაძემ წმ. მოწ. პეტრე-პავლეს შესახებ. მამა ივლიანემ აგრეთვე მოიხსენია დარბეული აჭარლები და აღნიშნა ჩვენი მოვალეობა იმათ დახმარების საქმეში.

✦ როგორც ფოთიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, წყალდიდობას ფოთისათვის დიდი ზარალი მიუყენებია. წყლით სახლები ავსებულა. ქალაქის მცხოვრებლები სადგურის უბნისაკენ გახიზნულა.

რიონის წყალს უფრო დიდი ზარალი მიუყენებია ქალადიდისათვის. ყანების ნაცვლად ადიდებულმა წყალმა რიყის ქვები დასტოვა. სადგურ ქვალონიდან ფოთამდი მიმოსვლა დღესაც შეწყვეტილია. ფოთიდან მგზავრები სად. ქვალონამდი ფეხით მოდიან (40 ვერსის მანძილია).

✦ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“ ფურნის გახსნის შესახებ თადარიგს უკვე შეუდგა. ფურნე ამ დღეებში გოგებაშვილის ქუჩაზე გაიხსნება.

✦ ქუთ. სათავად აზნაურო სადგილ მამულო ბანკში დაგირავებული მამულების საჯაროთ ვაჭრობა უკვე დასრულდა.

✦ დღეს, 3 ივნისს, ქალაქის თეატრში ქართველი მსახიობისა და სცენის მოყვარეების მიერ დაკლებულ ფასებში წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ცნობილი ისტორიული დრამა „სამშობლო“.

✦ გუშინ საგუბერნიო ციხიდან განთავისუფლეს გაზეთ აზრის რედაქტორი ქალი ალექსანდრა ცერცვაძისა.

✦ 27 ივნისამდე, ერთი კვირის განმავლობაში ქუთაისში შემოვიდა: 20 ვაგ. ფქვილი 9 ვაგ. სიმინდი, 10 ვაგ ქერი, 7 ვაგ. შაქარი, 1 ვაგ ნავთი, 18 ვაგ. შეშა, 2 ვაგ. მარილი, 29 ვაგ. თივა, 7 ვაგ. ქატო, და სხვა და სხვა საბაკალეოთო საქონელი.

✦ 2 ივლისს საოლქო სასამართლოს სისხლის განყოფილება გაარჩევს ისიდორე ლეკვიაშვილის და ვასილ ბიბილეიშვილის საქმეს.

✦ დ. სამტრედიის მცხოვრებლებმა დაადგინეს, გახსნან სამტრედიაში უფასო წ. სავ სამკითხველო. ამის შესახებ შესაფერისი შუამდგომლობა კიდეც აღძრეს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა 10 კაცს ნება დართო გახსნან ქუთაისში ღვინის სავაჭროები.

✦ როგორც ლანჩხუთიდან გვწერენ, ადიდებულ რიონის ტალღებს გურიის სოფლებისა ივილაკ (ლანჩხუთი, ნიგოითი, ჩიბათი) დიდი ზარალი მიუყენებია. წყალს წაულეკია სიმინდის ყანა, დაუხრჩვია პირუტყვები.

ლანჩხუთში სოფლებიდან აბრეშუმის პარკი უკვე შემოდის. პარკი იწონება საზოგადო სასწორზე. ფუთი პარკი იყიდება პირველი ხარისხისა 15 მან., მეორე 14 მან. და მესამისი კი, 13 მანეთად.

✦ მთავრობას ნება დაურთავს რამდენიმე შეგნებული პირისათვის, რომ გაიხსნას აჭარაში სალამოს კურსები ქართული წერა-კითხვის შესასწავლათ.

✦ ოთხშაბათს 1 ივლისს, ღამით, ქუთაისის სადგურსა და რიონს შუა თბილისი მატარებელზე ვილაცამ 100 მანეთი მოპარა ელისე აბულიძიანს.

✦ სადგურ გელათში ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდი მოიტანა ვიღაც ფიშერმა. სიმინდს ფუთს, მიუხედავათ იმისა, რომ მეტად ცუდი ღირსებისაა, 1 მ. ნ. და 6 შაურად ჰყიდის. ამდენხანს აქ ბ ბერეკაშვილი კარგი ღირსების სიმინდს 1 მ. და ორ შაურად ჰყიდდა. საჭიროა ადმინისტრაციამ სიმინდი დადებული ნიხრის მიხედვით გააყიდვინოს ბ. ფიშერს.

✦ სადგურის ზევით ბოჭორიშვილის ქუჩა, სადაც სირბილაძეები ცხოვრობენ, ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება, საჭიროა ქალაქის სანიტარებმა ყურადღება მიაქციონ.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეადგინა მეფურნეებს: ფერმის ქუჩაზე ლაბრიან პაპაიანდის და ბებუთის ქუჩაზე მანა წვერავას ცუდი პურის გამოცხობისთვის. აგრეთვე ოქმი შეადგინა მოვაჭრე დანიელ ელიგულაშვილს, ვაჭრობის წესრიგის დარღვევისათვის.

---

## ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება.

(იხ. „სამშობლო № 118)

**გაგრძელება.**

გ. ტუსკია. კრებამ უნდა მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სამი წლის ანგარიშების ერთად განხილვა თავისთავად სიძნელეს წარმოადგენს და ამის გამო ანგარიშები ყოველთვის განმარტებას თხოულობს: ასეთი გარემოება გამგეობას რაღაც ჩვეულებად შემოუღია; 1912 წელში განხილულ იქნა სამი წლის ანგარიშები, ახლაც 1915 წელში ვარჩევთ კიდევ სამი წლის ანგარიშებს; აი ამის გამო ერთი წლის ანგარიშები გადადის მეორე წლისაში და ირევა ციფრები. სტამბის ინვენტარის ანგარიშებშიც ამგვარ გამოურკვევლობას ვხედავთ. ამიტომ საჭიროა გამგეობას ჰყავდეს წიგნების საწარმოებლად მცოდნე კაცი; სარევიზიო კომისიის მოხსენება სპეციალისტის მოწვევის შესახებ ამ ნაკლის თავიდან მოსაშორებლად მეტად კანონიერი და სამართლიანია.

ი. ბაქრაძე. შესწორებას უკეთებს და განმარტებას იძლევა 1912 წლისა და 1913 წ. ანგარიშებში ნაჩვენებ ციფრების შესახებ, რომელსაც თუ კრება მიიღებს მხედველობაში, მაშინ საერთო ჯამი უცვლელი დარჩება.

ი. კაკაბაძე. მოითხოვს, რომ ანგარიში გამგეობამ ყოველთვის სწორად შეადგინოს; სარევიზიო კომისიის მოხსენება, შეიძლება ბევრმა შემცდარად იცნო, მას კი მიაჩნია სავსებით კანონიერად. წიგნების გასავრცელებლად. ერთი წარმომადგენელი — აგენტი არ კმარა პროვინციებში გასაგზავნად.

გ. გიგინეიშვილი. სამდურავს უცხადებს გამგეობას უსისტემობისა გამო, რაზედაც თავმჯდომარე შენიშნავს, შეჩერებს და წინადადებას აძლევს ანგარიშებზე ილაპარაკოს.

ბოლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე კრება ამტკიცებს სამი წლის ანგარიშებს იმ შენიშვნებით, რომელიც სარევიზიო კომისიამ წარმოადგინა, ამასთანავე კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ შემდეგში ყოველთვის სწორი ანგარიშები იქნეს შედგენილი. იმ ანგარიშების განხილვის შესახებ კამათმა გასტანა მთელი ორი საათი.

თავმჯდომარე. წინადადებას აძლევს კრებას მოისმინოს და განიხილოს ამა 1915 წლის ხარჯთ აღრიცხვა.

ივ კიღაძე. სიტყვას თხოულობს სტამბის ღირებულობის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარე არ აძლევს, რადგანაც კამათი გაგრძელდა და დაგვიანდა, ამის გამო კიღაძე უკმაყოფილებას აცხადებს და გაჯავრებული ჰდება. გამგეობის მდივანი ი. ბაქრაძე კითხულობს [illegible] ხარჯთ-აღრიცხვას.

ს. რობაქიძე [illegible] 300 მანეთს წლიწადში საბუღალტერო ნაწილის გასაუმჯობესებლად.

ი. ბაქრაძე. უპასუხებს, რომ გამგეობას არ შეუძლია სპეციალურად საკუთარი ბუღალტერი დაიქირაოს, არამედ საჭიროების დროს მოიწვიოს ისეთი მცოდნე პირი, რომელიც სხვა დაწესებულებაში მოიძებნება.

რ. კანდელაკი. რადგანაც საზოგადოებას საშუალება არა აქვს საკუთარი ბუღალტერი იყოლიოს, იმ შემთხვევაში მოწვეულ იქნას ერთი კაცი, როგორც სტამბისათვის ისე გამგეობაში ანგარიშების მოსაწესრიგებლად, რისთვისაც გადაიდოს წლიურად 600 მან. ამას გარდა მოაგონებს კრებას, რომ სამკითხველოები უსახსრობისა გამო ცუდ მდგომარეობაში არის და საჭიროა საზოგადოებამ ყოველ წლიურად მისცეს დახმარება 100 მანეთი და თუ ასე არა, გახსნის დროს მაინც. რაც შეეხება 20 % გადადებას მთავარ გამგეობის სასარგებლოთ, ის წინადადებას იძლევა, გამოირკვეს ეს 20 % მთელი შემოსავალიდან უნდა გაეგზავნოს მთავარ გამგეობას, თუ მხოლოდ საწევრო ფულებიდან?! მისი აზრით განყოფილებამ უნდა გაუგზავნოს მხოლოდ 20 % საწევრო ფულებისა.

ა. ჯანელიძეს შეაქვს ხარჯთ-აღრიცხვაში შემდეგი შესწორება: ჩვენი სტამბის გამგე იმავე დროს ბიბლიოთეკების მეთვალყურეა, ამიტომ იმისი ხარჯი სტამბის საერთო ხარჯს უნდა მოუმატოს; არ არის ნაანგარიშევი იმ ფულის პროცენტებიც, რომელიც გამგეობას მართებს სტამბის; ეს პროცენტებიც უნდა გამოაკლდეს სტამბის შემოსავალსო.

**ლადო ბზვანელი.**

(დასასრული ხვალ)

---

# თავგასულობა.

29 ივნისს, დილას ადრიანათ, სამი გელათელი მიეშურებოდა პოლიციაში; ერთს მათგანს გულზე კლავი ჰქონდა დაკიდებული, ისინი გაჩერდენ ჩემი სახლის წინ პოლიციის ქუჩაზე და მთხოვეს მესწავლებია მათთვის პოლიცია. ჩემს შეკითხვაზე თუ რათ დასჭირდათ პოლიცია, მათ მიამბეს თავისი დღევანდელი ჭირვარამი და მრავალი გაჭირვება. ამასთან ერთმა მითხრა: ცოლშვილის გამოსაკვებათ რომ სიმინდის ფქვილი მეყიდნა, ერთი ზურგი ტყემალი მომქონდა, ურიების ხამოსასვლელ გზაზე დამხვდა ერთი ვაჭარი ჯოხზე რომელსაც დიდი ყაყანის შემდეგ გავრიგდი ორ მანეთად და ორ აბაზათ. როდესაც თავის ბინაზე, სადაც ვაჭრობს, მიმიყვანა ორი შაური ნაკლები დამიწყო ძლევა, პირი მიშალა გარიგებულ ფასზე. ამას მე არ დავეთანხმე და ხნუბი ამიტეხა, დამეტაკა მძლავრათ ისედაც დაქანცულ ადამიანს, წამაქცია და მკლავი დამიშავაო.

ამისთანა შემთხვევა ძრიელ ბევრი ხდება ქ. ქუთაიში ამ ვაჟბატონებისაგან. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ უწესრიგოთ ცემა-ტყეპას, ისედაც ხაზეგრათ გაძვალ-ტყავებულ მუშა ხალხს, რომელნიც თვისი ზურგით ეზიდებიან სოფლის ნაწარმოებს, რომ როგორმე თავი გამოიკვებოს და ათასჯერ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

**მნახველი.**

---

# წყალდიდობა.

**ს. ხორგა** (სამეგრელო) გაშენებულია მდინარე ხობის ორივე ნაპირზე. შავი ზღვიდან ათი თუთხმეტი ვერსის მანძილზე. მდებარეობა მეტის-მეტად დაბალი და ჭაობიანი აქვს, აქ გვალვიან წელიწადში ძალიან კარგი მოსავალი იცის, ხშირი წვიმები-კი დიმღუპველია ჩვენი სოფლის. ადვილი წარმოსადგენია, ისეთი წყალდიდობა, როგორიც შარშან იყო, რა გამანადგურებელი იქ-

ნებოდა ჩვენი სოფლისთვის. შეიძლება ითქვას, სამეგრელოს არც ერთ სოფელს ისე მწვავეთ არ უგრძვნია გასული წლის მოუსავლობა, როგორც ხორგას. წინათ თითო გლეხს საშუალო სარჩოს გარდა ყოველ წელს ასიდან ორას ფუთამდე სიმინდი რჩებოდა გასაყიდათ. გასულ წელს კი ვინც ხუთას ფუთ სიმინდს ყიდდა ათი ფუთი სიმინდი არ შეუტანია სახლში თავის ყანიდან. შიმშილობა ჩვენ სოფელში ოქტომბერში დაიწყო და ვინ იცის, როგორ გათავდებოდა ეს წელიწადი, რომ ივნისის პირველ რიცხვებში სიმინდი არ დაერიგებიათ დამშეულ გლეხებისათვის.

წელს, შედარებით, მოსავალს კარგი პირი უჩნდა როგორც თესვაზე, ისე მარგვლაზე სანატრელი ტაროსი იდგა. (მოგეხსენებათ ჩვენი გლეხის ბედი ტაროსზეა დამოკიდებული).

წელს შედარებით ძალიან ცოტა ადგილი იყო დათესილი (მუშა ხელის უქონლობის გამო), მაგრამ რაც დათესილი იყო კარგ იმედს იძლეოდა. ასე გაგრძელდა შუა ივნისამდე. აქედან თან და თან გაავდარდა. 23 ივნისს წამოუშინა საშინელმა კოკისპირულმა წვიმამ და ორი სამი დღე შეუწყვეტლივ წვიმდა.

მდინარე ხობი გადმოვიდა თავის ნაპირებიდან და ერთიანათ წალეკა ნათესები. მდინარე თითქმის ყოველ წელს გადმოდის თითოჯერ, მაგრამ წელს მისი გადმოსვლა წინანდელს სრულიად არ გავდა. წინათ იგი ჭალებს არ გასცილდებოდა, ახლა მთელი ათი ვერსის სივრცეზე გაიშალა. მცხოვრებთ წყალი სახლებში შეუვარდათ. ბედშავი გლეხი იძულებული იყო ხეზე გასვლით გადარჩენილიყო დახრჩობას და იქიდან ეცქირნა, თუ როგორ სპობდა შეუბრალებელი სტიქიონი მის ნაწვავ-ნადაგს.

სოფლად ასტყდა საშინელი ყიჟინა, ზარების რეკა, ქალებისა და ბავშების კივილი, აუარებელი შინაური ფრინველი და ოთხფეხი საქონელი იხრჩობოდა უპატრონოთ, მაგრამ მიშველება არვის შეეძლო. გულშემზარავ სურათს წარმოადგენდა სოფელი ამ დროს. ასე გაგრძელდა 26 ივნისამდე. შემდეგ წყალმა ნელ-ნელა იკლო. ზარალი დიდია.

მწუხარებით გარემოცული გლეხი ნელ ნელა უბრუნდება თავის გაპარტახებულ ოჯახს; მისი სასომიხდილი ცრემლებით სავსე თვალები მნახველს თითქოს ეკითხებიან:

როდემდის, როდემდის უნდა ვიტანჯოთ ასე?!

გლ. ანთელავა.

— —

**ზუგდიდი.** 22 ივნისიდან 27 ივნისამდე საშინელი ნიაღვარი იყო დ. ზუგდიდში. მდინარეებმა იმატა.

ვინც მდინარეების მახლობლათ ესახლა თავის სახლ-კარით და პირუტყვით წყალმა იმსხვერპლა. გაისმოდა ბავშების საზარელი კივილ-წივილი, მაგრამ დახმარება ვერავინ გაახერხა. ასე საშინლათ იყო პატარა მდინარე „ჩხოუშია“ მომატებული. ვისაც მდინარეების მახლობლათ ქონდათ ყანები დათესილი, მათ ოჯახს შიმშილობა მოელის. რადგან ადიდებულმა წყალმა სიმინდის ყანები წალეკა.

ადამიანთა მსხვერპლი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

გ. შავდია.

— —

**ს. მუხში და ჭყუშური.** (ქუთაისის მაზრა). ეს ორი სოფელი მდებარეობს მდ. რიონის პირათ სამხრეთით. მდებარეობა ამ სოფლებისა შეადგენს ჭალას; ცხოვრობს 600 კომლამდი. თუმცა დღემდეც არ აკლდა მდინარე რიონისგან წალეკა-განადგურება, მაგრამ დღეს კი მთლად მოუღო ბოლო, განმეორდა 1895 წლის წარღვნა; 24 ივნისიდან დაწყებული 27-დე კოკისპირული წვიმების გამო ადიდდა მდინარე და ნაპირებიდან ზომაზე მეტათ გადმოვიდა, რამაც სულ ერთიანათ წალეკა ნათესი მინდვრები, ვენახები და ეზოები, ბევრგან გაიტაცა შინაური ცხოველები, ლობეები სულ შავ ზღვას შეუერთა; 26 ივნისს, გათენებისას, შეიქნა ხალხში გულ შემზარავი კივილი, აბა, წყალის დანახვაზე ერთი მეორეს გასძახოდენ: თავს უშველეთ ხეებზე გასვლით, აგერ დედა აღვიძებს თავის პატარა შვილებს და ბავშებით ხელში გარბის ხეებისკენ. აკვანი დღესაც ბევრ ალაგას არის ხეებზე ჩამოკიდებული, ასე რომ მოგაგონდებოდა კაცს შავი ზღვის პროცესი პარახ. წმ. ვლადიმერის დალუპვის დრო.

გათენდა თუ არა ზევიდგან კოკისპირული წვიმა, ქვევით წყალი თანდათან მატულობს და, წარმოიდგინეთ მკითხველო, აბა რა მდგომარეობაში იქნებოდა საბრალო გლეხი, როცა ხედავდა, რომ მის იმედს — საზრდო ჭირნახულს — ანადგურებდა, მოუპატიჟებელი სტიქიონი, მაგრამ ყველაფერი ავიწყდებოდა, როცა თავის ოჯახობა შველას თხოულობდა ადამიანის გადასარჩენათ. ამ რიგათ განვლო თითქმის ერთი დღე ღამე, ხალხი მშიერ მწყურვალე ხეებზე იყო შებუდრული, უმწეოთ დარჩენილი შეყურებდენ ყველაფერს, თვალწინ უდგათ უცეცხლო ომი, რომელთან შებრძოლებას ვერვინ ბედავდა. შემდეგ წყალმა იკლო, მაგრამ არაფერი არ დაუტოვებია გაუნადგურებელი. საბრალო გლეხები სასოწარკვეთილი, ენა ჩავარდნილივით დგანან და ვერ გამორკვეულან — ვის დააბრალონ ან ვის შეჩივლონ თავისი გაჭირვება: დამწვარზე მდუღარე გადაასხესო. ნათქვამია და ასე დაემართა ამ ორი სოფლის საზოგადოებასაც. შველა არ არის; დამშეულ ხალხს ახალი უბედურება თავზე დაატყდა და მომავლის იმედი არაფერისა არა აქვთ.

საჭიროა დროზე დახმარება ისეთი მშრომელი ხალხისათვის, რომლების მაჯაც, ვინ იცის, რამდენ ბევრს სხვასაც ასაზრდოებდა.

საჭიროა დაუყონებლივ გამოირკვეს დაწვრილებით ზარალი წყალდიდობისაგან მიყენებული, აღინიშნოს დაზარალებულთა რაოდენობა და შესაფერი დახმარებაც აღმოეჩინოს მათ.

დაახლოებით ზარალი ამ სოფლებისა 20,000 მანეთზე მეტი თუ იქნება, თორემ ნაკლები არა.

გ. ბ.

## მისაბაძი მაგალითი.

ყველამ კარგად იცის, დღეს რომ ქართველი ხალხი მატერიალურათ დიდს კრიზისს განიცდის. კარგად მოეხსენება სულ ყველას, რომ დროა მალამო გამოენახოს ამ საშინელს სენს და ქვეყნის გაღარიბების პროცესს ყურადღება მიექცეს. დროა ვიფიქროთ ერის სიკეთისათვის, რაც მჭიდროდ უკავშირდება მისი შემადგენელი ელემენტების კეთილდღეობას. დიახ, ვგრძნობთ, რომ დავღარიბდით, რომ დღითი დღე ძირი ეთხრება ჩვენს ტკბილს ცხოვრებას, მაგრამ მისს შესაჩერებლათ გადაჭრილ აზრს ვერ დავდგომივართ.

რა აღარიბებს ხალხს?

მიზეზი ბევრია და მათ შორის, ტყუილა უბრალოდ გამოწვეული, უთავ-ბოლო ხარჯები, რასაც ეწევა ჩვენი ხალხი სხვადასხვა შემთხვევების დროს. ავიღოთ, მაგალითად, მიცვალებულის დასაფლავება. ჩვენებურს ოჯახის რომელიმე წევრის გამოკლებით დაზარალებას ზედ ემატება მისი დასაფლავების, ორმოცის და წლის თავის ხარჯები. ზემო იმერეთში არც ამით კმაყოფილდებიან. აქ მთელს წელიწადს ყოველ შაბათს საკურთხს უკეთებენ მიცვალებულს ყოველ საუფლო დღეს ცხვარს უკლავენ და ჩვეულებით ლამის გაპროლეტარების კარამდე მივიდეს აქ აური მკვიდრი.

ამ რამდენიმე დღის წინად მე ბაასი მომიხდა ს. ბეინევში მცხოვრებს სამსონ ტარიელის ძე ქაჯაიასთან, რომელიც 25 წელზე მეტი „სუდები პრისტავად“ იყო. იგი ეხლა პენსიონერია და ცხოვრობს თავის მამულში. რამოდენიმე ყმაწვილმა საჭიროდ დავინახეთ, გვენახა ბ. ქაჯაია და დავმტკბარიყავით მისი ლაპარაკით. მართლაც, მივედით. სავარძელში ზის ვერცხლის ფერ წვერულვაშიანი, მადლიანად მომღიმარი მოხუცი. ჩვენი მისვლისას მან ჯერ ომის ამბები გვკითხა. როცა დავაკმაყოფილეთ მისი ცნობის მოყვარეობა, თვითონ დაგვიწყო ლაპარაკი მავნე ჩვეულებებზე. აი მისი სიტყვები:

„ეხ, ბავშვებო, ნუ გგონიათ, რომ მარტო თქვენა ზრუნავდეთ ხალხის საკეთილდღეოთ, ჩვენც — მოხუცებულები — ძლიანა ვსწუხვართ, რომ საქართველო დღეს ცუდს პირობებშია, მაგრამ, როცა მეზობლობაში ვერ შევთანხმებულვართ, როგორ გინდათ მთელი ერი შეარიგოთ? მე უკვე ოთხმოცდაათ წელზე მეტისა ვარ, დიდხანს ვცხოვრობდი ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხეში და, როგორც „სუდები პრისტავს“, შემთხვევა მეძლეოდა, გავეცნობოდი ხალხის გაღარიბების მიზეზს; წარმოიდგინეთ, უმეტეს ნაწილად დავალიანება უთავ-ბოლო ხარჯების მიერ იყო შექმნილი. როცა ვკითხავდი რომელიმე აზნაურს — „მამული კარგი გაქვს და ვალი რად დაგჭირდა — თქვა, ის უსათუოდ მიპასუხებდა: „ბატონო! ქორწილი, ტირილი, ორმოცი, წლის თავი, საუფლო დღესასწაული ხომ მოგეხსენებათ — აი სწორედ იმაში დამჭირდა ფულები და ეხლა საცხოვრებელი მეყიდებაო“ —.

ხედავთ, როგორ ყოფილა საქმე? ხალხი ღარიბდება გაუგებარი ჩვეულებების წყალობით და ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული თქვენგან. მე დიდი ხანია ვცდილობ, ჩამეგონებია ხალხისთვის ზედმეტი ხარჯების მოსპობის საჭიროება, მარა არ იქნა და ვერ შეიგნეს. ეხლა გადავსწყვიტე, თვითონ უჩვენო მაგალითი და ამისთვის შემდეგი შინაარსის ანდერძი უნდა დავსტოვო. მე თქვენ თვითეულს მუხლს გარკვევით გეტყვით, რომ უფრო გაიგოთ რაშიაც არის საქმე. 1, მე ამ სოფელში დასიძებული ვარ და მთელი საცხოვრებელი ეკუთვნის ჩემს მეუღლეს, ამიტომ გასანაწილებელი არაფერი არ მრჩება. 2, ჩემს ერთს ვაჟს და ოთხს ქალს ვუტოვებ შესაფერ სწავლა-განათლებას და პატიოსანს ოჯახურს აღზრდას. 3, რომ გარდვიცვლები, დამასაფლაონ მესამე დღეს დილის ცხრა საათიდან თორმეტამდე. 4, იმ დღეს მოიწვიონ ადგილობრივი სასულიერო პირები — დეკანოზი, მღვდელი და ორი მედავითნე — მათ უნდა ამიგონ წესი და გადაიხადონ პანაშვიდი ჩემს სახლში; ამაში გასამრჯელოს მიიღებენ მღვდლები ოთხ-ოთხს მანეთს და მედავითნეები-თითოს, 5, დასაფლავების დღეს მოვიდენ ჩემი პატივისმცემლები უგადასახადოდ და მიბრძანდენ თავიანთს სახლში უქელეხოდ. 6, ჩემი დასაფლავების ხარჯი შემდეგია: ხის, შავად შეღებილი, კუბო — ექვსი მან., სანთელი და საკმეველი — ერთი მან., ორს მესაფლავეს — თითო მანეთი. 7, ოჯახის ჭირისუფლები შავებს ნუ ჩაიცვამენ, ნუ მიგლოვენ, ნუ გადაიხდიან ორმოცს, წლის თავს და საკურთხს ნუ მიზიდავენ და 8, კარგი იქნება, თუ რამოდენიმე თუმანს ჩემი ხსოვნის აღსანიშნავად რომელიმე ქართულ კულტურულ დაწესებულებას გადასცემენ. აი, ყმაწვილებო, მეტი არაფერი არ არის საჭირო; ნაცვლად 1000 მან., რაც ჩემს ოჯახს დიდს ზარალს მიაყენებს, მე მეყოფა 21 მან. და თქვენც, იმედია, შეასმენთ ხალხს — ასე მოიქცენ და თავი დაახწიონ იმ უბრალო ხარჯს, რომელიც მძიმე ლოდად აწევს კისერზე, უმისოდაც გაძვალტყავებულს საქართველოს შვილებს. მე გავათავე, აწ თქვენ იცით“ და ძვირფასი მოხუცი დაგვემშვიდობა.

— დიახ, მართალია თქვენი სიტყვები, ბატონო სამსონ, — მივაძახეთ ჩვენ — და ფიცს ვსდებთ, შესაფერი ანგარიში გაუწიოთ თქვენს წმინდა სურვილს“, ამ სიტყვებით დავშორდით მას და შემდეგ ყმაწვილებმა მთხოვეს, ეს ამბავი რომელიმე გამოცემაში გამომექვეყნებია, რასაც მეც სიამოვნებით ვასრულებ.

ნარქანი.

## სოფელი და მისი სვე-ბედი.

თანამედროვე უმაგალითო ომმა, რომელმაც შეარყია და აალაპარაკა მთელი კაცობრიობა, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასაც სხვა ელფერი მისცა. ჩვენშიაც დღეს ხალხის ყურადღება ომმა მიიპყრო. დღეს ყველა ერთზე ფიქრობს, ერთი რამ აინტერებს — ეს ომის მსვლელობა და მისი შედეგებია. ომი თავის დაღს ასვამს უფრო განსაკუთრებით ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას; ყოველნაირი საქონლისა და სანოვაგის გაძვირება ომის აუცილებელი შედეგია. ხალხმა ეს კარგათ იცის და ასე თუ ისე ურიგდება ამას, ვიდრე ძალა შესწევს. მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის კერძოთ ჩვენთვის — ქართველობისათვის, — რომ ამ საერთო კრიზისის დროს ჩვენს ხალხს თვალწინ უდგია შავი აჩრდილი შიმშილობისა. დღეს თუ ჩვენს ქალაქებსა და დაბებში ძალზე გაძვირდა სანოვაგე და ხალხი გაჭირვებას განიცდის, არა ნაკლებ გაჭირვებულია ჩვენებური სოფლის ხალხი. ქალაქსა და დაბებს ასე თუ ისე მაინც აწოდებენ, თუმც გაჭირვებით, სხვადასხვა საქონელსა და სანოვაგეს, რომელსაც შველის რკინის გზები. ჩვენებური სოფელი კი ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაშია. ვინაც დაკვირვებია საქართველოს სოფლებს, დამერწმუნება, რომ ბევრი მათგანი მოკლებულია სრულიად წესიერ გზებს, რომელზედაც ურმით მაინც შეიძლებოდეს შეზიდვა და გამოტანა სანოვაგისა.

როგორც ბ. თ. ღლონტის სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებს, წელს მარტო იმერეთის სოფლებში უნდა შეიზიდოს რამდენიმე მილიონი ფუთი ფქვილი პურისა და სიმინდისა. *)

კიდეც რომ მოსახერხებელი იყოს ამოდენა სანოვაგის შოვნა და მოზიდვა ჩვენს დაბებსა და ქალაქებში, აგრეთვე პატარ პატარა სადგურებზე, ამით უზრუნველყოფილი არ იქნება იმერეთის სოფლები [illegible] ლი: ჯერ ერთი, რომ მთელი სოფელი რკინის გზის [illegible] დაცილებულია, არც ურმის გზა ვარგა ბევრგან; მეორე, შემზიდავიც არავინ არის; საუკეთესო მუშა ხელი ომშია წასული. და, სანამ ჯერ კიდევ არ დაცლილა ჯანისაგან ჩვენებური სოფლები, საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ და სახელმწიფო დაწესებულებებმაც მიაქციონ ამას ყურადღება და გამოიხსნან სოფელი მოსალოდნელ განსაცდელისაგან

გულის მომკვლელ სურათს გვიჩვენებს დღეს სოფელი. ყრუდ გამოიყურებიან ჩვენი სოფლის ბორცვები, გორაკები. სევდიანი ხმით მირუხრუხებენ პატარ პატარა მდინარე-ნაკადულები, თითქოს იზიარებენ სოფლელთა გოდებას, გამწარებული დედის მოთქმა-ტირილს, რომელსაც მოსვლია ბარათი ბრძოლის ველიდან; დედას აუწყებენ შვილის სიკვდილს, ან დაჭრას. დღეს სოფლად ხშირია მაგალითი, რომ ვიღაცა, არ ვიცი რა მიზნით, მოსწერს ვითომდა მოკლულ სალდათის მშობელს წერილს, რომლითაც აუწყებს შვილის სიკვდილს. მშობელი სტირის, გოდებს, შეუსრულებს ჩვეულებრივ წესებს შვილის გამოსატირათ, დაიხარჯება, დავალიანდება და მერმე ერთი და ორი კვირის შემდეგ მოუვა ამბავი შვილისაგან, რომ ის ცოცხალია და გამუდმებული ომობს. არის აგრეთვე შემთხვევა, რომ მშობელს რაღაც მიზეზისა გამო წერილი ვერ მიუღია დიდი ხნის განმავლობაში შვილისაგან; მშობელს გონია, ჩემი შვილი მკვდარიაო და სოფელ-სოფელ დატირის. ნამდვილად კი მისი შვილი ცოცხალია და კარგადაც არის.

სხვა ბევრს ამგვარს ამბავს მოკრავთ დღეს ყურს სოფლად. ამიტომ პირდაპირი ზნეობრივი მოვალეობაა ჩვენი სოფლის ინტელიგენციისა აუხსნან და განუმარტონ სოფლელთ საქმის გარემოება, შეაგნებინონ დაწუხრებულ მშობელს, რომ ყური არ ათხოვოს არავითარ კერძო წერილს ბრძოლის ველიდან გამოგზავნილს სანამ ოფიციალურად არ შეიტყობენ საქმის გარემოებას. მაგრამ ვინ არის პატრონი!

ვიმეორებ, სოფლის ინტელიგენცია უნდა იყოს ამ განსაცდელის დროს სოფლელ ხალხისთვის ნათლის სვეტათ და უძღოდეს მას, როგორც უძღოდა ნათლის სვეტი — ებრაელებს მეწამულ ზღვაში.

ვ. რა-ნი-ლი.

*) იხ. „სახ. ფურ.“ № 311. ვ. რ.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.


# თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ქაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

# ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჰების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

**აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე.** თ.




სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა — ქუთაისში